საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 3 (6549) 14 იანვარი ხუთშაბათი 1993 წელი

საქართველოში ომი მძვინვარებს. აფხაზი სეპარატისტები, ჩრდილო კავკასიელი მთიელი კონფედერატებისა და რუსეთის რეაქციული ძალების დახმარებით ცდილობენ საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი მთლიანობის დარღვევას. უჭირს ქვეყანას ეკონომიურად. ამას ზედ დაერთო აფხაზეთიდან ლტოლვილთა შენახვა—დაბინავება. შესაქმნელია ქართული ჯარი. ყოველივე ეს დიდ სახსრებს მოითხოვს. ამასთან რესპუბლიკის მოსახლეობაში ბევრია ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები, რომლებსაც იყენებენ ბოროტმოქმედები, კრიმინოგენური ძალები' რაც ართულებს ქალაქად თუ სოფლად კრიმინოგენურ სიტუაციას.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიმართვის—საქართველოს მოსახლეობის, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყველა თანამემამულისადმი, რესპუბლიკის საწარმოებისა და დაწესებულებების, კომერციული სტრუქტურებისა და ბიზნესმენებისადმი, რომელშიც მოუწოდებს ყველას აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავდაცვის ფონდის შექმნაში, პასუხად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 10 დეკემბრის განკარგულების საფუძველზე ცაგერის რაიონული საკრებულოს გამგეობამ შექმნა თავდაცვის ფონდის აქტიური

## ყველას ვალია

საქმიანობის ხელშემწყობი რაიონული სამუშაო ჯგუფი (ხელმძღვანელი ვაჟა კოპალიანი) 9 წევრის შემადგენლობით.

ჯგუფს დაევალა განახორციელოს მოსახლეობაში, სახელმწიფო, კომერციულ' საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებში ფართო მუშაობა თავდაცვის ფონდში ფულადი სახსრების მაქსიმალური მოზიდვისათვის.

ამავე განკარგულებით მოსახლეობისაგან ცეცხლმსროლელი იარაღისა და საბრძოლო მასალების ნებაყოფლობით ჩაბარება—შესყიდვის ღონისძიებათა ორგანიზებულად განხორციელებისათვის გამგეობასთან შეიქმნა საგანგებო შტაბი (თავმჯდომარე აკაკი პირველი) 6 წევრის შემადგენლობით.

განკარგულების საფუძველზე საგანგებო შტაბი უზრუნველყოფს იარაღის ჩამბარებელთა ვინაობის სრული ანონიმურობის დაცვას. იარაღის ჩაბარება—შესყიდვა გაფორმდება სათანადო აქტით, რომელსაც ხელს მოაწერს საგანგებო შტაბის ყველა წევრი.

ჩაბარებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალებისათვის მოქალაქეებს ნაღდი ანგარიშსწორებით დაუყოვნებლივ მიეცემათ სათანადო ანაზღაურება თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით საბაზრო ფასების გათვალისწინებით.

რაიონის პოლიციას დაევალა უზრუნველყოს საგანგებო შტაბის განლაგების ადგილებში იარაღის, საბრძოლო მასალების' ფასეულობათა დაცვა და ტრანსპორტირება.

მოსახლეობისაგან ცეცხლმსროლელი იარაღისა და საბრძოლო მასალების ჩაბარება-შესყიდვა გრძელდება ამ წლის 20 იანვრამდე.

## ემატოს!

აგრომრეწვბანკში თავდაცვის ფონდის ანგარიშია გახსნილი. რაიონში ბევრი საწარმო და დაწესებულებაა, რომლებმაც უყოყმანოდ გადარიცხეს თანხები, საბედნიეროდ' პიროვნებებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც თავისთვის მოიკლეს და აფხაზეთში მებრძოლი ბიჭებისათვის სული არ დაიშურეს.

მადლობა ვუთხრათ მცირე საწარმო „ბუნების მეგობარს" (ზ. ომანაძე), რომელმაც ფონდის ანგარიშზე 15 ათასი მანეთი ჩარიცხა, ავტოსატრანსპორტო საწარმომ (ო. ნემსვერიძე)—5 ათასი მანეთი გაიღო, განათლების მუშაკთა პროფკავშირის (ზ. ბურჯანაძე)—5354 მანეთი, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლებმა (ნ. ცვარიანი)—1700 მანეთი.

დღეისათვის თავდაცვის ფონდის სპეციალურ ანგარიშზე 275 ათასი მანეთია.

ძვირფასო ლეჩხუმელებო! თავდაცვის ფონდი ელის თქვენს თანადგომას.

## ცაგერის ბაზრის საახალწლო ფასები

| | |
|---|---|
| ხორცი (კგ) | 200—230 |
| ყველი (კგ) | 500—550 |
| ქათამი | 600—700 |
| ინდაური | 1500—2500 |
| გოჭი (კგ) | 150—200 |
| ნიგოზი (კგ) | 200 |
| კვერცხი | 25—30 |
| ვაშლი (კგ) | 20—50 |
| მსხალი (კგ) | 20—50 |
| თაფლი (კგ) | 1000 |
| მაწონი (ლიტრი) | 100 |
| სიმინდის ფქვილი (კგ) | 40—45 |
| ლობიო (კგ) | 120—150 |

## მარტო გულში ხვდებათ ტყვიები

საშინლად დაულია შავ ურჩხულს პირი, წმინდა გიორგის მორკინალ ურჩხულს. ქართველი ერის ძტერს და მოსისხარს აღარ ასვენებს სატანის ბოღმა, საშინელის სიმძაგით შესძულებია ერი ღვთისმშობლის და ამიტომაც ვეღარ ძღება უწვერულვაძო ბიჭების სისხლით, იმ ბიჭების, „შავლეგოსა" და „ქართველო, ხელი ხმალს იკაროს" სიმღერით რომ მიდიან ომში და ია—იებით დაფოჩვილ მიწას საჯიჰე სისხლით პოხავენ... მიდიან ომში და თან რჩებათ აკვნის ჩვილები თუ ჯერ კიდევ ამქვეყნად მოუვლენელი ანგელოზები, დედები' ძმები, მამები' დები... ზოგზე კი მხოლოდ ორი სიტყვა რჩება ამქვეყნად— „ვაჟკაცი იყო". მიდიან ბრძოლის ველზე „ოცხების ბიჭები", ჰო' ოცხებისა აუხდენელის თუ ასახდენის, და უდარდელი ღიმილით ტოვებენ ამ ვაი წუთისოფელს.

ავი წრით ბრუნავს იბერიის ტანჯულ მიწაზე ვაჟკაცის სისხლი, ავი წრით ბრუხავს კახეთის მიწა— აკლებული, გადაჯეგილი' ძიწაში წალმა ჩაბრუნებული, უფსკრულში ვაზის ფესვებით ჩაკიდებული, მიწა ქართლისა ან იმერეთის, მიწა ჰერეთის' მიწა კლარჯეთის—ურჯულოების სისხლჩამხმარი შავი კბილებით გადალეჭილი, ძარღვებდალრღნილი აჭარის მიწა... ან რა ჩამოთვლის.

„დამრჩალა რამე?" ჰმუნვით კითხულობს ბელზებელი ქვესამეფოში—„ჰო, დამრჩენია აფხაზთა მიწა, უწარმტაცესი, სისხლით უპოხი, მეტად სატკბილო და იმასაც ავთქვიფავ ცოდვით".

ჰაი, დედასა' ესლა გვაკლდა.

გმადლობ, უფალო' კიდევ ყოფილან ქართველებში ვეფხვის დედანი, ხერხეულიძეთ უშობიათ კიდევ ვაჟები და ნამალავად დაუზრდიათ ჯიხვების რძეზე. კიდევ ყოფილა აფხუშოურის ქალაი მთებში, კიდევ ილებენ ვაჟკაცები ხელში მახვილებს და ურჩხულების დასახოცავ შუბებს ლესავენ.

საით ჩავიდნენ ვაჟები... საით წავიდნენ, საით' ოცნების ბიჭები?! აუუუ: გაფრენილი ფაფრები სისხლის წვიმებით ისეტყვებიან, შავ თავშალებში იწვებიან ცოლები, დები' ხოლო დედები კუბოს ფიცრებს უთბობენ შვილებს.

მაგრამ ვაჟკაცები არ დრკებიან ლომისას მადლით, ზარზმის მადლით' ხახულის მადლით, „დედამც შეირთოს მოღალატემ" უდგათ ყურებში და ამიტომაც მარტო გულში ხვდებათ ტყვიები.

გმადლობ, უფალო...

ალგეთია დღეს საქართველო და ყველა ბიჭი მგლის ლეკვია კბილალესილი.

ეკა ბენდელიანი.

რაიონის კონტროლის პალატაში

## ღვინის საწარმოები: დარღვევები უკონტროლობამ განაპირობა

რაიონის კონტროლის პალატის სხდომა იმსჯელა ცაგერის ღვინის საწარმოებში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ.

ცაგერის ღვინის საწარმოებში (ყოფილი დირექტორი ჯ. ჩაკვეტაძე, მთავარი ბუღალტერი ო. ხაბულიანი) კონტროლის რესპუბლიკური პალატის დავალებისა და კონტროლის რაიონული პალატის გეგმის შესაბამისად ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლინდა სერიოზული დარღვევა—დამახინჯებანი.

ტვიშის ღვინის საწარმოს (უფროსი ჯ. ალავიძე) გასული წლის 1 ნოემბრისათვის ნაშთად ერიცხებოდა 277'6 დეკალიტრი ღვინომასალა „ლეჩხუმი". აღწერის შედეგად აღმოჩნდა 11 დეკალიტრის (თვითღირებულება 371 მანეთი) დანაკლისი.

ორბელის ღვინის საწარმოში (უფროსი ბ. ჩახნიანი) ინვენტარიზაციით ნაშთად აღმოჩნდა 735042 მანეთი თვითღირებულების 23063'6 დეკალიტრი ღვინომასალა' ხოლო იქვე კონიაკის საამქროში (უფროსი რ. კაკიტაძე) 17832 დეკალიტრი სპირტი (თვითღირებულება 9816486 მანეთი).

ცაგერის ღვინის საწარმოში (უფროსი მელიტონ მ გუგავა) ინვენტარიზაციით აღმოჩნდა 6977 დეკალიტრი ღვინომასალა „გელათი"' „საჩუქარი" და „ბარაკონი", აქედან 428 დეკალიტრი ღვინომასალა „ბარაკონი" ლიერ მქროლავია (მოძმარებულია).

სერიოზული დარღვევები გამოვლინდა ოყურეშის ღვინის საწარმოში (უფროსი რეზო გიორბელიძე). საწარმოში ნაშთად ირიცხებოდა 354 დეკალიტრი ღვინომასალა „ტვიში" (თვითღირებულება 14460 მანეთი) რაც ინვენტარიზაციით არ აღმოჩნდა. ღვინომასალა „ლეჩხუმი" ნაშთად

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღვინის საწარმოები: დარღვევები უკონტროლობამ განაპირობა

(დასასრული).

ირიცხებოდა 92818 დეკალიტრი (246953,7 მანეთის). ინვენტარიზაციით აღმოჩნდა 402,1 დეკალიტრი (15030 მანეთის) ნორმის ზევით დანაკლისმა შეადგინა 8719,6 დეკალიტრი (თვითღირებულება 325876 მანეთი). ღვინომასალა „საკუპაჟე" ინვენტარიზაციით აღმოჩნდა 2322 დეკალიტრი, ნაშთს აღემატება 134,2 დეკალიტრით (5118,3 მანეთის.) ღვინომასალა „საკონიაკე" ნაშთად ირიცხებოდა 1649,6 დეკალიტრი (615663 მანეთის), რაც ინვენტარიზაციით არ აღმოჩნდა. საბოლოოდ ოყურეშის ღვინის საწარმოში ნორმის ზევით დანაკლისმა შეადგინა ღვინომასალებში 10713,6 დეკალიტრი (თვითღირებულება 401 486 მანეთი.) ასევე ოყურეშის საწარმოში აღმოჩნდა 836,8 დეკალიტრი თხევადი ლექის დანაკლისი (1004,1 მანეთი.) სულ ოყურეშის ღვინის საწარმოში დანაკლისმა თვითღირებულებით შეადგინა 402 490 მანეთი, სარეალიზაციო ღირებულებით 1514 784 მანეთი.

ოყურეშის ღვინის საწარმოში არსებული ღვინომასალების ანალიზით გამოვლინდა, რომ 800 დეკალიტრი ღვინომასალა სუფთა ძმარია, ხოლო 2567 დეკალიტრი გაძმარების პირზეა.

ცაგერის ღვინის ქარხანაში გასული წლის 1 ნოემბრისათვის დებიტორული დავალიანება შეადგენდა 54412 მანეთს, კრედიტორული დავალიანება — 395435 მანეთს. ცაგერის ღვინის ქარხნიდან გადატვირთული პროდუქციის აუნაზღაურებელი ღირებულების დავალიანება შეადგენდა 822908 მანეთს. აღნიშნულიდან ქუთაისის ღვინის ქარხანაზე მოდის 820 776 მანეთი.

ასევე დარღვევები გამოვლინდა ღვინის ქარხანაში ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საქმეში. ღვინის ქარხანას გასული წლის 1 ნოემბრისათვის მიღებული ჰქონდა მოგება 1375 000 მანეთი. აღნიშნულიდან ბიუჯეტს ეკუთვნოდა 28 ათასი მანეთი, სულ 10 თვეში გადასახადი იყო 509 ათასი მანეთი, ფაქტიურად ჩარიცხული აქვთ 86 ათასი მანეთი. 1 ნოემბრისათვის ბიუჯეტში ამოღებული არის 423 ათასი მანეთი. ბიუჯეტის სასარგებლოდ კიდევ უნდა ჩაირიცხოს 980 ათასი მანეთი.

ცაგერის ღვინის ქარხანაში გამოვლენილი დარღვევები განპირობებული იყო ცაგერის ღვინის ქარხნის დირექციის (ყოფილი დირექტორი ჯეირან ჩაკვეტაძე), საბუღალტრო დარგის მუშაკთა უკონტროლობით.

რაიონის კონტროლის პალატის საბჭომ არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა ცაგერის ღვინის ქარხნის დირექციის მიერ გაწეული მუშაობა ყურძნის დამზადების, ღვინომასალების მოვლა — პატრონობის, რეალიზაციისა და ანგარიშსწორების საქმეში.

წინადადება მიეცა ცაგერის ღვინის ქარხნის დირექტორს ტ. ღუგავას ცაგერის, ორბელის და ტვიშის ღვინის საწარმოებში გამოვლენილი ნაკლოვანებების გამო გაატაროს მკაცრი ადმინისტრაციული ღონისძიებანი.

მიღებულ იქნა ცნობად, რომ ოყურეშის ღვინის საწარმოში გამოვლენილი დანაკლისის ირგვლივ მოკვლევას აწარმოებს რაიონის პროკურატურა.

ცნობად იქნა მიღებული, რომ ღვინის ქარხნის დირექტორი ჯ. ჩაკვეტაძე განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

## მასწავლებელი

განათლებით ფილოლოგია. 1980 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა სხვადასხვა ადგილზე. ორი წლის წინ კი წიფერჩის საბავშვო ბაგა-ბაღში მოვიდა მასწავლებლად. რამდენიმე თვეში საყვარელი, მისაბაძი პედაგოგი და პიროვნება გახდა.

პირველად ჯგუფთან მეცადინეობისას შევხვდი. მზიანი დღე იყო და ბავშვებს სიკეთეზე, სიყვარულზე, მზეზე ესაუბრებოდა. იმ დღიდან გულით შევიყვარე ეს სათნო ქალი.

მალვინა ეფაძე — ქალი, მეუღლე, დედა, მასწავლებელი

### მისი პირველი საფიქრალი

ბავშვია, ყველა ერთნაირად უყვარს, არანაკლებ თავის ღვიძლ შვილზე. ხშირად მესმის მადლიერი მშობლებისაგან: ღმერთი თუ გადაუხდის სამაგიეროს, თორემ ჩვენ რა შეგვიძლია.

საახალწლო დღეებშიც შევიარე ბაღში. ნაძვის ხესთან გართულიყვნენ პატარები. ღმერთო ჩემო! რამდენი ტაქტი, სითბო და ენერგიაა ამ ქალში, აი, ახლა კი განაწყენდება და დატუქსავს — მეტი [illegible] ვფიქრობ ჩემთვის, მაგრამ ღიმილად, მოფერებად დნება ეს [illegible] ფანტელები [illegible] მაღლიდან. [illegible] უფროთ ანგელოზებს თოვლზე, სიწმინდეზე, სისპეტაკეზე, უცოდველობაზე ესაუბრება. მე არ ვიცი, ჩაწვდნენ თუ არა პაწიები ამ ნაუბარს, მაგრამ მათი ანთებული თვალებიდან, რომელიც მასწავლებლისკენ მიუპყრიათ, ერთი ვიწამე: ყველაზე სპეტაკი, წმინდა და უცოდველი მათ წინ დგას და ეს მალვინა მასწავლებელია.

დამდეგ 1993 წელს გილოცავთ ქალბატონო მალვინა. ეს სითბო, სიყვარული, ერთგულება გაგყოლოდეთ ცხოვრების ბოლომდე.

შორენა ხეცურიანი.

## რ ე პ ლ ი კ ა

აზრიანი კაცის ეს ნათქვამი ცხოვრების გამოცდილებითაა ნაკარნახევი, პრაქტიკით განმტკიცებული.

სწორედ რომ ქურდების ხელშემწყობი პირობებია შექმნილი დღეს ქალაქ ცაგერის მეტ წილ ქუჩებში. ასაკოვან ადამიანებს სამამულო ომის ამჟამად დაკავებული არიან. ფაქტს სწავლობს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება. იმ ღამესვე ქურდებმა ისარგებლეს რა სიბნელით, იქვე საბავშვო ბიბლიოთეკიდან მოიპარეს ტელევიზორი, მართალია რაღაცით შეშინებულებმა იქვე გარეთ კიბეზე

### „ქურდს რა უნდა და"...

დროინდელი შუქშენილბვა გაახსენდებათ, ისეთი მდგომარეობაა ქუჩებში. რუსთაველის ქუჩის გარკვეული ნაწილი ჩაბნელებულია. ასეთივე მდგომარეობაა თავისუფლების ქუჩაზე კულტურის სახლიდან ზემო უბნისაკენ. თვით ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ერთი თუ ორი ნათურა ბრჭყვიალებს, ხოლო კოსტავას ქუჩაზე მოედანს ზემოთ, რომ იტყვიან, თვალში თითს ვერ მიიტან. იქნებ ამ სიბნელითაც ისარგებლეს ბანდიტებმა და თავს დაესხნენ აქავე ქუჩაზე მცხოვრებ ნ. მ-ს. მიაყენეს სხეულის დაზიანება, წაართვეს ტელევიზორი, სხვა ნივთები და მიიმალნენ. მაგრამ დიდხანს არ შერჩათ ბოროტმოქმედება.

დატოვეს, მაგრამ ფაქტი ხომ სახეზეა. ყველასათვის ცნობილია უკანასკნელ პერიოდში რამდენი ქურდობა მოხდა ქალაქის ცენტრალური მოედნის ირგვლივ მდებარე შენობებში არსებულ სხვა წარმოება — დაწესებულებებში.

ყველა ჩაბნელებული ქუჩის ჩამოთვლა შეუძლებელია.

ალბათ კომუნალური მეურნეობის მუშაკები, რომლებიც ემსახურებიან ქუჩის განათებას, შემოგვედავებიან, ნათურები და სხვა მასალები არ იშოვება და როგორ გავაკეთოთო, კომერციულ მაღაზიაში ხომ იყიდება? კეთილი ინებეთ და შეიძინეთ, ნუ შეუქმნით დამნაშავეებს ხელშემწყობ პირობებს ავი ზრახვების განხორციელებისათვის.

## ნუ დაგვსისხლავთ

კომერციული მაღაზიების მომრავლება, შიგ ისეთი საქონლის თავმოყრა, რაც თავისუფლად სახელმწიფო მაღაზიებში უნდა იყიდებოდეს, ჩვენი პირობების ვერაფერი გაუმჯობესებაა. მაგრამ, როცა სხვა გზა არა გვაქვს რა უნდა ვქნათ? ყველას ხომ არა აქვს იმის საშუალება, დახლში დადგეს და ვაჭრობას მიჰყოს ხელი, არადა უმუშევრობის ბუმი და ხელფასის მინიმალური დონე გაჭირვებულ მდგომარეობაში გვაგდებს. ერთმანეთს ფასების ზრდაში ნუ გავეჯიბრებით. ყველაზე ხელსაყრელი დღეს ჩვენთვის პირველადი მოხმარების საქონლის, სასურსათო პროდუქტების საწარმო-მაღაზიებია. არამწარმოებელი კომერციული მაღაზიების სიმრავლე, რესპუბლიკის ახლომახლო მაღაზიებიდან შედარებით იაფად ნაყიდი პროდუქტების ჩვენს ქალაქში ჩამოტანა და გაძვირებულ ფასში გაყიდვა, ძალიან ტვირთად აწვება ჩვენს ისედაც გაღარიბებულ ჯიბეს. ისევ და ისევ ერთი თხოვნა გვაქვს:

ნუ დაგვსისხლავთ, ბატონებო!

## საგზაო პოლიცია გაფრთხილებთ

დიდთოვლობის და ყინვების შედეგად რესპუბლიკის საავტომობილო გზებზე წარმოიქმნა სატრანსპორტო ავარიულ შემთხვევათა აშკარა საფრთხე. ამ დროს ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოძრაოს მძღოლმა დათოვლილ და მოყინულ გზაზე, საგზაო პოლიციის მუშაკებს ხშირად გვისაუბრია რაიონული გაზეთის და ადგილობრივი რადიოგადაცემის საშუალებით. ამ თემაზე ხშირად ეწყობა ტელეგადაცემები. მძღოლებმა კარგად იციან, რა მძიმე შედეგი მოყვება ზამთრის პერიოდში საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უდისციპლინობას, მაგრამ, სამწუხაროდ ზოგი არ ითვალისწინებს საგზაო პოლიციის მუშაკთა მითითებებს, რითაც საფრთხეში აგდებს თავის და სხვათა სიცოცხლეს.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ჩვენს მიერ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად მძღოლების დიდი ნაწილი არ სარგებლობს მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით, რაც აფერხებს ტრანსპორტის მოძრაობას, იხერგება გზები და იქმნება ავარიის აშკარა საფრთხე.

შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის სამმართველოსა და საგზაო სამინისტროს თანამშრომლების ერთობლივი გეგმით ტარდება ღონისძიებები. საქართველოს რესპუბლიკის რადიომაუწყებლობის კომიტეტისა და ტელევიზიის საშუალებით სისტემატურად ეწყობა გადაცემები საავტომობილო გზებზე მოძრაობის რეჟიმის შესახებ.

ამიტომ, თუ გსურთ საავტომობილო გზებზე მშვიდობიანი მგზავრობა, ყურადღებით მოუსმინეთ საინფორმაციო ცნობებს, აუცილებელია თან ატაროთ მოცურების საწინააღმდეგო და საბუქსირე საშუალებები, რადგან მოძრაობის გართულებული რეჟიმის დროს საგზაო პოლიციის მუშაკები არ დავუშვებთ ამ საშუალებებით აღუჭურველი ავტომობილების მოძრაობას. გახსოვდეთ ისიც, რომ იმ მძღოლების მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილებიან საგზაო პოლიციის მუშაკთა მოთხოვნებს, გატარდება კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სასჯელის მაქსიმალური ზომა, რაც მძღოლის მართვის უფლების რამდენიმე თვით ჩამორთმევას ითვალისწინებს.

მინდა ყველა ფეხით მოსიარულეს ვთხოვო გაითვალისწინონ რაიონის გზებზე და გზაჯვარედინებზე მოძრაობის გართულებული რეჟიმი, რადგან ამ დროს ხშირ შემთხვევაში ავტომანქანის საჭის მართვის სწორი ორიენტაცია დარღვეულია და ავტომანქანის გაჩერება დროულად ვერ ხერხდება, მოერიდეთ ავტოტრანსპორტს, საფრთხეში ნუ ჩაიგდებთ თქვენს სიცოცხლეს. ეს თხოვნა განსაკუთრებით ეხება ქალაქის ცენტრსა და მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე მოსიარულე ქვეითთ.

ზოგჯერ ბავშვები ციგაობენ საავტომობილო გზებსა და გზაჯვარედინებზე, განსაკუთრებით თავისუფლების ქუჩაზე, „გიორგავას" ღელის გვერდით, სოფ. ცვესოს გზაზე (გუგავების კუთხით) სოფელ ქვედა ცაგერში, ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის გზაზე, სოფ. ქალისთავში ხიდის გადაღმა, სოფ. ბარდნალაში ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმის გზაზე, სოფ. ლარჩვალში და სხვ. მძღოლებს უჭირთ მათი შემჩნევა, ამიტომ ვთხოვ ყველა მშობელს, ყველა მოქალაქეს მიაქციოს ყურადღება მოციგავე ბავშვებს, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი უბედურება.

საგზაო პოლიციის მუშაკები ყველაფერს გავაკეთებთ საავტომობილო გზებზე რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ყველა მძღოლმა და მოქალაქემ გამოიჩინოს მოძრაობის წესებისადმი მოქალაქეობრივი დამოკიდებულება, დაემორჩილონ საგზაო პოლიციის მუშაკების მოთხოვნებს, მოერიდონ სხვადასხვა ცდუნებებს და საფრთხეში ნუ ჩაიგდებენ თავიანთ თავსა და სხვათა სიცოცხლეს.

რ. სალინაძე,
შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილების უფროსი საგზაო პოლიციელი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი.

დღეს, 14 იანვარს შესრულდა 76 წელი ლადო ასათიანის დაბადებიდან

# „ჭაბუკი ვიყავ, ქარბუქი ვიყავ“

ლადო ასათიანი—ლექსად ქცეული კაცი.

კაცი, რომელმაც ამღერებული არწივის ხმით გვიამბო საქართველოს გმირულ წარსულზე და მართლაც, რომ ტკივილამდე ფილტვებდაბერილმა ერის დიდება უმშვენიერეს პოეტურ სტრიქონებად გვიძღვნა.

პოეტის უკვდავსაყოფად „სალამბოც“ იკმარებდა, ეს „განწირულების ქედუხრელი ყივილი, ამაყი ორატორია ქართველთა სულის ძლიერებისა“. ასეთი სული თავად ლადოს სხეულში ბუდობდა, ცოცხლობდა და „მამა—პაპური სიმღერის ძალით“ თვრებოდა.

„ამიჩქამდება სისხლი
ველური
და ვაჟკაცური ლექსი
მომშივა“.

წრფელ, ნაღდ ქართულ სიტყვას დაწაფებული პოეტი თუ იტყოდა ასეთ სტრიქონებს, ის' ვინც სისხლხორცეულად შეენივთა მშობლიურ პოეზიას, ვისაც ასაზრდოებდა ცხრაძმა ხერხეულიძის, სამასი არაგველის საქართველო, ვინც შეიგრძნო გულბაათ ჭავჭავაძის თამადობით წარმართული სუფრის ეშხი და ლაზათი...

თითქოს ლადოც ამ წარსულიდან მოვიდა, რათა თავისი თანამედროვეობის მუქი ფერები ქართველთა ისტორიის „ოქროსხანით“ გაეცოცხლებინა და ხმამაღლა ეთქვა:

„ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან
მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ
იცოდეს,
ჩვენ შეიძლება, ბრძოლაში
მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ
ვტოვებთ სიცოცხლეს“.

ამაღელვებელია მისი პოეზია, რადგანაც ამ გმირული სულისკვეთებით სავსე ლექსების თუ პოემების ავტორი ჭაბუკი პოეტია, რომელსაც ტკივილამდე ენატრებოდა უბრალო ხალათი „დედის ძვირფასი ხელით შეკერილი“ და რომელმაც იცოდა მწარე სიმართლე („ჩემი ფილტვების მიხედვით მე ძალე უნდა მოვკვდე“)... და მაინც, ლადო სიცოცხლის მომღერალია, თავისი ცხოვრების ბოლო სამი წლის მანძილზე შექმნილი მისი შემოქმედებითი ლირიკა ბუნების, ცხოვრების სილამაზეს შეტრფის. [illegible] იყო სიკვდილ[illegible] თან.

„შეუდრეკელობა მთელი მისი ადამიანური ხასიათის უპირველესი თვისება იყო“—წერს მურმან ლებანიძე.

* * *

დღეს ლადო ასათიანი 76 წლისაა.

ცაგერის ცენტრში დგას ქვაში გამოკვეთილი პოეზიის მთრთოლვარე ცეცხლით ანთებული ჭაბუკი პოეტის სახე. დგას ძეგლი, როგორც სიმბოლო ლადო ასათიანის პოეზიის მარადიული თაყვანისცემისა და სიყვარულისა.

ლ. ცხვედიანი.

---

დღეს ძველი სტილით 1 იანვარია, მართლმადიდებლური კალენდრით

ახლადა იწყება 1993 წელი. ფეხბედნიერი ყოფილიყოს!

გთავაზობთ სადღესასწაულო კალეიდოსკოპს

# საშობაო ნაძვის ხე

...გიკითხავთ თუ არა' რატომ ვრთავთ საშობაოდ მაინცდამაინც ნაძვს და არა სხვა რომელიმე ხეს და რად ვამკობთ მას ოქროსფერ... ქაღალდის ან შუშის ბრჭყვიალა ვარსკვლავებით?

თურმე იმ ღამეს ბეთლემში სადაც უფალი ჩვენი იესო ქრისტე დაიბადა' გარშემო ტყე ერტყა' შესასვლელს კი ამშვენებდა სამი ხე: ზეთისხილისა' ნაძვისა და ბზისა.

როცა ზეცაზე დიდებული ვარსკვლავი ამოკაშკაშდა' დიდი ამბის' ადამის მოდგმის მხსნელის' იესო ქრისტეს ხორციელი შობის მახარობლად' ყველაფერს სული ჩაედგა და ყველა ისწრაფოდა ძღვენი მიერთმია ახლად შობილი ყრმისათვის' ზეთისხემ ზეთის ხილი მოისხა' ბზაც მყისვე მწვანედ შეიფოთლა, მხოლოდ საწყალმა ნაძვმა ვერაფერი ილონა და ვერ მიართვა ჩვილ იესოს. დაღონდა' ტოტები ჩამოყარა და თითქოს ატირდა' სურნელოვან მოყვითალო ცრემლად გადმოსკდა.

ბეთლემის ვარსკვლავმა' რომელიც თავს დაკაშკაშებდა წმინდა მღვიმეს' თვალი მოკრა ნაძვის ცრემლს და შეეცოდა: უეცრად ვარსკვლავების წვიმა მოვიდა და დაღონებული ნაძვი თავიდან ფეხებამდე მორთო' სულ ზემოთ კი წვერზე' ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი მოექცა.

ის ღამე და ის დღე' ყოველ წელს შობის ღამეს სანთლებითა და სათამაშოებით მდიდრულად მორთული ნაძვი ითვება და ბრჭყვიალი ცაქვს პატარების სასიხარულოდ.

—გადმოცემულია „ჯეჯილში“ (1903 წ. № 1) გამოქვეყნებული მოთხრობის მიხედვით.

# გსურთ გაახალგაზრდავება?

ამ ცოტა ხნის წინ მეცნიერ ებმა' რომლებიც ტიბეტური მედიცინის მეთოდებს იკვლევ ენ, აღმოაჩინეს „ახალგაზრდობის ელექსირის“ საიდუმლოება. ელექსირის მომზადება ყველას შეუძლია. გარჩეული და წვრილად დაჭრილი ნიორი უნდა დააყენოთ სპირტზე (1:1) შეინახეთ 10 დღის განმავლობაში ბნელ ადგილზე. შემდეგ გაწურეთ და გააჩერეთ კიდევ 3 დღე. ისევ გაფილტრეთ. სამკურნალო ეფექტი მიიღწევა საუკუნეებით გამოცდილი დოზირებით. ნაყენს პიპეტკის საშუალებით აწვეთებენ ცივ რძეში. 50 გრამ ასეთ რძეს სვამენ დღეში სამჯერ ჭამამდე 15 წუთით ადრე შემდეგი სქემის მიხედვით.

წვეთების რაოდენობა

| ნაყენის მიღების დღეები | საუზმემდე | სადილამდე | ვახშმამდე |
|---|---|---|---|
| 1—ლი და 21—ე | 2 | 2 | 2 |
| მე—2 და მე—20 | 4 | 5 | 6 |
| მე—3 და მე—19 | 7 | 8 | 9 |
| მე—4 და მე—18 | 10 | 11 | 12 |
| მე—5 და მე—17 | 13 | 14 | 15 |
| მე—6 და მე—16 | 15 | 14 | 13 |
| მე—7 და მე—15 | 12 | 11 | 10 |
| მე—8 და მე—14 | 9 | 8 | 7 |
| მე—9 და მე—13 | 6 | 5 | 4 |
| მე—10 და მე—12 | 3 | 2 | 1 |
| მე—11 | 25 | 25 | 25 |

მკურნალობის კურსი 21 დღე გრძელდება. იგი თავიდან აგაცილებთ მიოკარდის ინფარქტს, ორგანიზმის მობერებას' სკლეროზს, სტენოკარდიას' სიმსივნეების წარმოქმნას. გაახალგაზრდავების კურსის შემდეგ 6 წლით შეისვენოთ. შემდეგ კურსის გამეორება სასარგებლოა.

* * *

დოკუმენტური ფილმების ციკლი საერთო სათაურით „გზა შინისაკენ“ შეივსო კიდევ ერთი' სათვალავით მეოთხე ფილმით—ოთარ ჭილაძის კინონოველოგით. წინა სამ ფილმში სიტყვა მიეცა ლიტერატორ აკაკი ბაქრაძეს' ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილს' მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიას. ფილმის ავტორი და რეჟისორია ნიკოლოზ დროზდოვი.

ფილმში მონაწილეობისათვის მწერლის მიწვევა რეჟისორმა შარშანწინ აგვისტოში სცადა. წელიწადზე მეტი დრო გახდა საჭირო მწერლის დასათანხმებლად. დიახ' ოთარ ჭილაძეს არ უყვარს ტელეეკრანზე გამოჩენა და რადიოთი გამოსვლა' მით უფრო' კინოში გადაღება. ჩემი პროფესია წერაა და არა ლაპარაკი—ასე ამართლებს იგი თავის უცვლელ პოზიციას.

„ნოვაია გაზეტა“.

სარედაქციო ფოსტიდან

# „საახალწლო დილა“

ამ დღეებში ბავშვების მხიარულმა ყიჟინამ აახმაურა მათი საყვარელი ადგილი—სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკა. სარაიონო საბავშვო და საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკების ერთობლივი ძალებით ჩატარდა საახალწლო დილა: „ბედნიერი ახალი წელი—ჩვენო ნორჩებო“. ლიტერატურული დილა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას ახალი წელი მიულოცა ბიბლიოთეკის გამგემ თ. ჭვილიდიანმა.

ბიბლიოთეკას სტუმრად ჰყავდა საბავშვო ბაგა—ბაღის უფროსი ჯგუფის აღსაზრდელები, პედაგოგები ლ. ყურაშვილი, მ. სვანიძე. პატარების მიერ შესრულებულმა სიმღერებმა და ცეკვებმა, ლამაზად წაკითხულმა ლექსებმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. დასასრულს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა საჩუქრის სახით მცირე ნობათები გადასცეს ჩვენს ნორჩებს.

შ. ქარსელაძე.

# შეგვიცოდეთ

ამ უკიდურესი სიდუხჭირის ჟამს' ყველას უჭირს და რა გასაკვირია' რომ ჩვენც გვიჭირდეს' მაგრამ ის რაც შეგვიძლია მივაწოდოთ ხალხს' ვინმეს თვითნებობითა და თავნებობით არ უნდა შეგვიწყდეს. ძალზე ვწუხვართ და განვიცდით, რომ ზამთრის ქარ—ბუქი და თოვლი კი არა' ოდნავი ნიავიც საკმარისია და ნახევარჯერ არა გვაქვს ელექტროშუქი ისუნდერ—მახურისა და ზუბოყურეშის მცხოვრებლებს' არადა ჩვენთვის განსაკუთრებით კი სოფელ ისუნდრის მცხოვრებთათვის ელექტროდენი მარტო სანათური როდია' იგი ჩვენთვის საკვები და საარსებო წყაროა.

როგორც რაიონის სხვა სოფლებში, სოფელ ისუნდრის რამდენიმე ოჯახშიც ლტოლვილებია' მათ ხომ მასპინძლობა უნდა მოვეხსენებათ' პური რამდენ გასაჭირია დღეს, ნორმირებული ძავი პური ერთი თვის წინ გაგვინაწილეს და დავრჩით იქის ამარა. სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა სიმინდის ფქვილით იკვებება, ერთადერთი ელექტროწისქვილი' მეზობელი სოფლის' მახურის მცხოვრებთაც ემსახურება' როცა ელექტროდენი არა გვაქვს' გარდა სიბნელისა. შიმშილიც გვემუქრება.

მესამე წელია სოფელში ნავთი არავის მოუტანია' მართალია, უსაშველოდ ძვირდა' მაგრამ აუცილებელია და რამდენიმე ლიტრს მაინც ვიყიდიდით. ვთხოვთ, უმორჩილესად ვევედრებით ცაგერის ელექტრომეურნეობის მუშაკებს' შეგვიცოდონ და თუკი ლაჯანურჰესს აქვს იმის საშუალება' რომ ელექტროდენი' გარდა გეგმური გამორთვისა' მოგვაწოდოს' მოგვაქციონ ყურადღება და ნუ დაგვტოვებენ ამ ზამთარსაც ბნელში.

ისუნდრის მცხოვრებთა სახელით:

გ. აკობიძე'
ო. ჩაკვეტაძე'
ა. მანდარია'
რ. მანდარია და სხვები.


გილოცავთ
ბედნიერ ქორწინებას!

ნათია მუზაშვილს' დათო ყურაშვილს
გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური.
მაყვალა' გელა ხვადაგიანები (ცაგერი).


# სხვათაშორის

საინტერესო შემთხვევა მოხდა ქუთაისში, სადაც პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა

## არაფერია წმინდა?

ლამარა ტ.' რომელმაც განაცხადა' რომ მის ბინაში ხულიგნურად შეიჭრნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა და დანით კრილობა მიაყენეს წმიდა გიორგის ეკლესიის მოძღვარმა უჩა ა..მ და მისმა ძმამ პაატამ.

„ნოვაია გაზეთა“

# გილოცავთ

**ქეთევან გოგოხიძეს, გესიკ ყურაშვილს**
გილოცავთ გიჟის შეძენას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
**ზაურ ცვარიანი, გიზო კოპალიანი, ისკრის ჩირბაძე ოჯახებით.**

---

**იზო, ჯონი მეგრელებს**
გილოცავთ შვილის ბედნიერებას. იხაროს და იმრავლოს თქვენმა ოჯახმა.
**მედიკო, გივი ახვლედიანები.**

---

**გურამ ქორას ძე სილაგაძეს**
გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთი იყოს შენი მფარველი.
**დალი, ტულუ ხაგულიანები.**

---

**ქეთინო, გესიკ, შურა, ომარ ყურაშვილებს**
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.
**ციცო სადილიანი, ლია გუგავა, ინგა სიოსიაძე, მანანა კოპალიანი, მაია გახოკლიანი, შეკიკო ნემსაძე, ლია ხვადაგიანი, ჟუჟუნა მეშველიანი, აზა ირემაძე, ლია მუშკუდიანი, გული სვანიძე, ნანა გაჩიაშვილი.**

---

**შურა, ომარ ყურაშვილებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
**ლია, გორია ჩიქოვანები.**

---

**ნანული ომანაძეს**
გილოცავთ დაბადებიდან 50 წლის შესრულებას.
**პიერ ფუტკარაძე, გოგუცა, დარეჯან, ლილო, ვენერა ომანაძეები, მარინე, ნელი გენიძეები.**

---

**სოფიკო გენიძეს**
გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე სასახელო ქალი.
**გიჟიკო ომანაძე ოჯახით.**

---

**ჩიტო ჩაკვეტაძეს, მარო კახიძეს**
გილოცავთ დათოს ბედნიერებას.
**ლია, ზაურ ახვლედიანები ოჯახით.**

---

**ჩიტო ჩაკვეტაძეს**
გილოცავთ შვილის ბედნიერებას.
**დათო, ნატო ჩაკვეტაძეები.**

---

**მაყვალა, ზურაბ სალინაძეებს**
გილოცავთ ალას ბედნიერებას. შეექმნათ ლამაზი ქართული ოჯახი.
**მურმან, ამირან სალინაძეები ოჯახებით.**

---

**მაყვალა, ზურაბ სალინაძეებს**
გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას. შეექმნათ ფუძიერი და შვილმრავალი ოჯახი.
**ცენტრალური აფთიაქის თანამშრომლები.**

---

**ბელა ვასილის ასულ ჭაბუკიანს**
გილოცავთ დაბადების დღეს.
**საშა, თალიკო, არსენ ყურაშვილები.**

---

**ქეთინო, გესიკ ყურაშვილებს**
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. იხარეთ, იმრავლეთ.
**მარინე ბენდელიანი.**

---

**იზო, ჯონი, გოჩა მეგრელებს**
გილოცავთ ნინოს ბედნიერებას.
**ამზაირ კიზირია ოჯახით.**

---

**მზია, ჯემალ ლარცულიანებს**
გილოცავთ შვილის თინიკოს ბედნიერებას.
**ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები.**

---

არსენ ლეშკაშელი, რამაზ მახაროგლიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მურთაზ, მზია სილაგაძეებს დედისა და დედამთილის
**ნინა გურგუჩიანი-სილაგაძის**
გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლუბა ხვადაგიანსა და გულო ლეთოდიანს შვილიშვილისა და დისშვილის
**ბექან სვანიძის**
გარდაცვალების გამო.

---

შვილები შოთა, ჯიმშერი, გოგუცა, ლამზირა გოლეთიანები, რძლები მაყვალა, ბადუნა, ასმათი, სიძეები სერგო ტყაბლაძე, რეზო მურცხვალაძე, ვაჟა კოპალიანი, ჯეირან სილაგაძე, მურმან ლაბაძე, ბაჩი ბუაძე, შვილიშვილები მანანა, მარინე, ნანა, ჯონი, ჯეირან, ჯონდო გოლეთიანები, მამუკა ტყაბლაძე, ნინო, მაია, გიორგი მურცხვალაძეები, შვილთაშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**შარდენ იასონის ძე გოლეთიანი.**

---

ოთარ სილაგაძე ოჯახით თანაუგრძნობს გალაქტიონ, ვახტანგ ახვლედიანებს
**საშას**
გარდაცვალების გამო.

---

მურა შკუბულიანი ოჯახით სამძიმარს უცხადებს ჭირისუფალს
**რუბენ სვანიძის**
გარდაცვალების გამო.

---

შალვა, კარლო, ყინვერ, ფაცო კვირკაშვილები, გენური ქარსელაძე, ავთო სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს
**დავით ლურჭუმალიძის**
გარდაცვალების გამო.

---

ქუჩუკი შკუბულიანი ოჯახით თანაუგრძნობს ლენა სალინაძეს, ნორა, ჯუმბერ ბენდელიანებს კარლო სალინაძეს
**გივის**
გარდაცვალების გამო.

---

ქუჩუკი შკუბულიანი ოჯახით თანაუგრძნობს გრიშა, მანანა ჭილვარიებს, ჟუჟუნა, ომარ ქურაშვილებს
**ბახვას**
გარდაცვალების გამო.

---

ვეტსამკურნალოს, ლაბორატორიის, მეთესლეობის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლამზირა, მანანა გოლეთიანებს მამისა და ბაბუის
**შარდენ გოლეთიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ვეტსამკურნალოს, ლაბორატორიის, მეთესლეობის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ია მდივანს ბიძაშვილის
**ხათუნა გიორგობიანის**
გარდაცვალების გამო.

---

შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შოთა გოლეთიანისა და რეზო მურცხვალაძის ოჯახებს
**შარდენ გოლეთიანის**
გარდაცვალების გამო.

---

რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაირა გეგეჭკორს და დინარა მდივანს ბიძაშვილების
**ნიაზისა**
და
**ხათუნას**
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე იოსები, შვილები ომარი, მურთაზი, გულნაზი, რძლები მაყვალა, მარიტა, სიძე ბენო ვაწაძე, შვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**თინა ბენდელიანი-ჩაკვეტაძე**
დაკრძალვა 12 იანვარს, სამშაბათს, სოფ. წიფერჩში.

---

ზურაბ, შამშე ხეცურიანები ოჯახებით უსამძიმრებენ ჭირისუფალს
**შარდენ გოლეთიანის**
გარდაცვალების გამო.

---

რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნარგიზა, მიშა უგრეხელიძეებს ბიცოლას
**გოგოლის**
გარდაცვალების გამო.

---

ჯიმშერ, ავთო, გურამ ლიპარტელიანები, როსტომ მუშკუდიანი, სოსო ფუტკარაძე, გურამ კოპალიანი, ჟორა შკუბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ციური, ჯიმშერ მეშველიანებს დედისა და სიდედრის
**საშა თუთისანის**
გარდაცვალების გამო.

---

მამია სადილიანი, თამაზ ლეთოდიანი, ავთო, ომარ გენიძეები, დომენტი გოგიძე, თენგიზ მეშველიანი, რამაზ კვირკაშვილი, ახმედ აკიბეროვი ოჯახებით თანაუგრძნობენ ციური, ჯიმშერ მეშველიანებს, ლუბა, ლოლა თუთისანებს დედისა და დის
**საშა თუთისანის**
გარდაცვალების გამო.

---

როსტომ მუშკუდიანი, გია კოპალიანი, შიო ხუციძე ოჯახებით იუწყებიან
**შარდენ გოლეთიანის**
გარდაცვალებას.

---

ვლადიმერ, დოდო გასვიანები თანაუგრძნობენ მერი ლურჭუმალიძეს მეუღლის
**დავით ლურჭუმალიძის**
გარდაცვალების გამო.

---

ძაძუ ახვლედიანი, ლამარა ბერიძე, ქეთინო ლიპარტელიანი ლია მუშკუდიანი თანაუგრძნობენ ეთერი, ლედი, დიტო, დათო, დარეჯან ლაჭყეპიანებს
**შიოს**
გარდაცვალების გამო.

---

სოსო კოპალიანი, თამაზ ხეცურიანი, იური ბერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ზურაბ, ჯონი, სოსო გოლეთიანებს დისშვილის
**ხათუნას**
გარდაცვალების გამო.

---

სოსო კოპალიანი, თამაზ ხეცურიანი, იური ბერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ნანული გოლეთიანს შვილის
**ხათუნას**
გარდაცვალების გამო.

---

ნაპოლეონ სილაგაძე, გივი ბენდელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**შიო ლაჭყეპიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ლადო თუთისანი ოჯახით თანაუგრძნობს იოსებ ჩაკვეტაძის ოჯახს
**თინას**
გარდაცვალების გამო.

---

სარაიონო კულტურის სახლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლედი, დიტო ლაჭყეპიანებს მამის
**შიოს**
გარდაცვალების გამო.

---

ოთარ სილაგაძე ოჯახით უწყებს
**შარდენ გოლეთიანის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

---

შურა ლეთოდიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ავთო დომენტის ძე თუთისანის**
გარდაცვალების გამო.

---

გივი ბენდელიანი ოჯახით თანაუგრძნობს ლამზირა, რეზო მურცხვალაძეებს მამისა და სიმამრის
**შარდენ გოლეთიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ნასპერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს მერი ხეცურიანს მეუღლის
**დავით ლურჭუმალიძის**
გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მერი შკუბულიანს ბიძის
**რუბენ სვანიძის**
გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფო—პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნორა კენჭაძეს და მზია ბრეგვაძეს მეუღლისა და მამამთილის
**რუბენ სვანიძის**
გარდაცვალების გამო.

---

ძმები ვიქტორი, გრიშა და სონა, რძლები ლენა, ლოლა, მარადი, ქეთინო, ძმისშვილები თინა, ნივრა, ჯუმბერი, როინი, ემზარი, ლამზირა სალინაძეები, დისშვილები იური, ვაჟა ბენდელიანები, სიძეები ვარლამ ქომეთიანი, რაფიელ მეშველიანი, ძმისშვილიშვილები, დისშვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ბუჭუ ბაგრატის ძე სალინაძე**
დაკრძალვა 21 იანვარს, ხუთშაბათს, ქ. ცაგერში.

---

შვილები რომანი, მედიკო, რძლები ადელინა თევდორაძე, ეკა ფურცხვანიძე, მანანა ბრეგვაძე(?)შვილი, სიძეები ჟორა შკუბულიანი, ჯემალ ხეცურიანი, შვილიშვილები ალეკო, გოჩა, შვილთაშვილი მარიამი, და მარიამი, დისშვილები გიული, რომეო კაკაბაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ვერა ათანასეს ასული ლიპარტელიანი-ბაქრაძე**
დაკრძალვა 17 იანვარს, კვირას, ქ. ცაგერში.

---

რედაქტორი, ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართი: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. № 56.
ტელეფონები: რედაქტორის—22-31, საერთოს— 22-43; სტამბის დირექტორის—22-17.
ტირაჟი 1244. შეკვეთა № 1.

ცაგერის რაიონული სტამბა.